ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2053658

ნომერი: AR1331359

თარიღი : 31.07.2015

გაცემის თარიღი : 05.08.2015

გაცნობის თარიღი : 06.08.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქავთარაძე , N 21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა თათოშვილი პ/ნ 47001001175
- ახალციხე ვალე სტალინის ქ. კორ. 25 ბ. 48

ორგანიზაცია:

- შპს "ჯი-ემ-სი" კოდი: 401963005

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ფასადზე ფანჯრის ღიობების მოწყობა არ მიაჩნია შესაძლებლად. იმისათვის, რომ არ დაირღვეს შენობის იერსახე, ღიობების მოწყობა შესაძლებელია განხორციელდეს ქვედა სართულზე არსებული ღიობების ანალოგიურად (მათ გასწვრივ, იგივე გაბარიტულ ზომებში). აღნიშნულის გათვალისწინებით აიტვირთოს განახლებული ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით.

გარდა ამისა „ფაილის მიმაგრება“–ს ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით.

დამატებით გაითვალისწინეთ, რომ თუ ღიობები ეწყობა N 01.14.04.029.083 მიწის ნაკვეთის მხარეს, საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობასთან დაკავშირებით. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სარეკონსტრუქციო ფასადი ემიჯნება N 01.14.04.029.084 მიწის ნაკვეთს, რომლის მესაკუთრეს ასევე წარმოადგენს შ.პ.ს „ჯი–ემ–სი“, აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია დაფიქსირდეს მოთხოვნის ტექსტში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.